სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 01 აგვისტო, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) დავით სიმონიას, ჯაბა ბურდიაშვილის, ნათია კაკალაძის, გიორგი ბიგვავას, თამარ აბაკელიას, სალომე გრიგალაშვილის, დათო გიგაურის, შორენა ვახტანგიშვილის, თეა შულაიას, ანა აბრამაშვილის, თამარ გუდავაძის, მარიამი კვირკვიას, მარიამ გელაშვილის, დავით ჯავახიშვილის, ანი ცხოვრებაშვილის, ბადრი მინდიაშვილის, ტასო შანავას, კახაბერ გურასაშვილის, დარეჯან ბერიძის, ნინო შარმანაშვილის და ლალი ნემსაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით სიმონიას, ჯაბა ბურდიაშვილის, ნათია კაკალაძის, გიორგი ბიგვავას, თამარ აბაკელიას, სალომე გრიგალაშვილის, დათო გიგაურის, შორენა ვახტანგიშვილის, თეა შულაიას, ანა აბრამაშვილის, თამარ გუდავაძის, მარიამი კვირკვიას, მარიამ გელაშვილის, დავით ჯავახიშვილის, ანი ცხოვრებაშვილის, ბადრი მინდიაშვილის, ტასო შანავას, კახაბერ გურასაშვილის, დარეჯან ბერიძის, ნინო შარმანაშვილის და ლალი ნემსაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ნაირა გიგიტაშვილის და მარინა კიკნაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნაირა გიგიტაშვილის და მარინა კიკნაძის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ირმა ცერცვაძის, გიორგი გოქაძის, თიკო ახვლედიანის, ნანა ფრუიძის, თამარ კეკელაშვილის, ეკატერინე ბერინაშვილის, დარეჯან სულაშვილის, ვახტანგ კუტალიას, ვლადიმერ ბეროშვილის, პაატა ნაკაიძის, გელა სირაძის, დარიკო ჯახაიას, ლევან

მამულაძის, ლევან კვინიკაძის, ვარლამ ხათრიძის, ნაზიბროლა კუპატაძის, სალომე ჯიბუტის, გიორგი ჯეგაშვილის, ინგა დევიძის, მარეხი დუნდუას, თემურ წურწუმიას, ნაზიბროლა კუპატაძის, ციური ნონიკაშვილის და ალექსანდრე ჭანტურიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირმა ცერცვაძის, გიორგი გოქაძის, თიკო ახვლედიანის, ნანა ფრუიძის, თამარ კეკელაშვილის, ეკატერინე ბერინაშვილის, დარეჯან სულაშვილის, ვახტანგ კუტალიას, ვლადიმერ ბეროშვილის, პაატა ნაკაიძის, გელა სირაძის, დარიკო ჯახაიას, ლევან მამულაძის, ლევან კვინიკაძის, ვარლამ ხათრიძის, ნაზიბროლა კუპატაძის, სალომე ჯიბუტის, გიორგი ჯეგაშვილის, ინგა დევიძის, მარეხი დუნდუას, თემურ წურწუმიას, ნაზიბროლა კუპატაძის, ციური ნონიკაშვილის და ალექსანდრე ჭანტურიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ თამარი კუპატაძის, გიორგი რამაზაშვილის და ნატალი გოგიაშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარი კუპატაძის, გიორგი რამაზაშვილის და ნატალი გოგიაშვილის გაცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, 2022 წლის 15 აპრილს დავით ჩიხლაძის მიმართ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას (საქმის N3/6156-21) დავით ჩიხლაძის

სარჩელთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, დავით ჩიხლაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 23, 26, 27, 28 და 29 ივლისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის სხდომის 2021 წლის 06 სექტემბრის #2 ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #27 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც დავით ჩიხლაძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #27 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაციას დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარისა და სარჩელზე წარმოდგენილი შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველზე - წარმომადგენლის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის - 200 (ორასი) ლარის ანაზღაურება დავით ჩიხლაძის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილის N 3/6156-21 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დავით ჩიხლაძეს N27 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, დავით ჩიხლაძის მიერ 2021 წლის 28 ივლისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილის N 3/6156-21 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, დავით ჩიხლაძეს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის და წარმომადგენლის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი -200 (ორასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 5. ნიკოლოზ აბულაძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნიკოლოზ აბულაძის მ/წლის 05 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2003 წლის 25 იანვარს მან ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2001 - 2004 წლებში იგი მუშაობდა თერჯოლის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანაშემწის პოზიციაზე, შესაბამისად, იგი აკმაყოფილებდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს. განმცხადებელი ითხოვდა

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ 3 - თვიანი თეორიული ნაწილის გავლას ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

წევრები გაეცნენ ნიკოლოზ აბულაძის განცხადებას თანდართული დოკუმენტებით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატით დასტურდებოდა, რომ მან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2003 წლის 25 იანვარს. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2022 წლის 18 მაისს გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ 10.07.2001-19.08.2022 წლებში მუშაობდა თერჯოლის რაიონული პროკურატურის სტაჟიორი პროკურორის თანაშემწის პოზიციაზე. 19.08.2022-02.08.2004 წლებში იგი დაინიშნა თერჯოლის რაიონული პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე, ხოლო 02.08.2004-04.11.2004 წლებში კი იმყოფებოდა კადრების განკარგულებაში და დროებით დაკისრებული ჰქონდა თერჯოლის რაიონული პროკურორის თანაშემწის მოვალეობის შესრულება. 2004 წლის 04 ნოემბერს ნიკოლოზ აბულაძე დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2001-2002 წლებში მოქმედი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განმარტებულია ტერმინი „პროკურორი“, რომლის თანახმად, „თანაშემწე“ და „პროკურორ-სტაჟიორი“ გათანაბრებულია პროკურორის სტატუსთან. შესაბამისად, განმცხადებელი აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-4 მუხლის, 4.2 პუნქტის თანახმად, მას შეუძლია გაიაროს პროგრამის მხოლოდ 3-თვიანი თეორიული კურსი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ აბულაძის განცხადება და ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ იამზე ჯღარკავას, ჯენეტი ბერაიას, ზურაბ ჯანაშიას და ლევანი მამუკელაშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად იამზე ჯღარკავას, ჯენეტი ბერაიას, ზურაბ ჯანაშიას და ლევანი მამუკელაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის - ლოლა კურკუმულის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებას, რომლის თანახმად, აღნიშნული კომიტეტის წევრმა - თორნიკე გვენეტაძემ მ/წლის 05 ივნისს მიმართა კომიტეტის თავმჯდომარეს წევრობის შეწყვეტის შესახებ. ლოლა კორკუმულმა აღნიშნული მიმართვა წარუდგინა აღმასრულებელ საბჭოს.

წევრებმა განაცხადეს, რომ მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.5.1 პუნქტის თანახმად, კომიტეტის წევრს შესაძლოა ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილების ვადა, პირადი განცხადების საფუძველზე; ამავე მუხლის 6.6 პუნქტს თანახმად, კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე მსჯელობს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.5.1 პუნქტის თანახმად, პირადი განცხადების საფუძველზე, თორნიკე გვენეტაძეს შეუწყდეს კომიტეტის წევრობა.

საკითხი 8. ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების თაობაზე განაცხადების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ რეკომენდირებული მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის - ანრი გუგეშაშვილის და სამოქალაქო სამართლის იმერეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის - თამარ შარაბიძის კანდიდატურები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო

რეფორმების კომიტეტის წევრად ანრი გუგეშაშვილის, ხოლო სამოქალაქო სამართლის იმერეთის რეგიონული კომიტეტის წევრად - თამარ შარაბიძის კანდიდატურა.

საკითხი 9. არჩილ ავალიშვილის განცხადების გაცნობა ექსპერტის რანგში ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტში მონაწილეობის შესახებ.

წევრები გაეცნენ არჩილ ავალიშვილის მ/წლის 11 ივლისის განცხადებას, რომლშიც იგი ითხოვდა ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობას როგორც არა ადვოკატი წევრი, ექპერტის რანგში.

წევრები გაეცნენ არჩილ ავალიშვილის განცხადებას და ბიოგრაფიას. მათ განაცხადეს, რომ წარმოდგენილი განცხადება და პროფესიული რეზიუმე იძლევა საფუძველს, რომ განმცხადებელს მიეცეს აღნიშნული კომიტეტის საქმიანობაში ჩართვის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს არჩილ ავალიშვილის განცხადება ექსპერტის რანგში, ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტის საქმიანობაში ჩართვის შესახებ. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 10. სხვადასხვა.

(ა) წევრები გაეცნენ გიგა გიორგაძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, დროის სიმცირის გამო, მან ვერ მოახერხა პრაქტიკული კურსის გავლა შერჩეულ მენტორთან. ამ ეტაპზე, მას აღარ ჰქონდა შემაფერხებელი გარემოება და ითხოვდა ახალი სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის არჩევას, მასთან 9-თვიანი პრაქტიკული კურსის გავლის მიზნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროცესში ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიგა გიორგაძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) ნინო წიქორიძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო ამჟამად შერჩეულ მენტორთან მიმდინარე პრაქტიკული კურსის ფარგლებში, დროის უმეტესი ნაწილი ეთმობოდა სისხლის სამართლის საქმეებს, რის გამოც, იგი ითხოვდა არსებული მენტორის შეცვლას სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატით.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროცესში ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო წიქორიძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(გ) სოფიო წიგნაძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, არსებულ მენტორთან ვერ ახერხებდა პრაქტიკული კურსის გავლას. იგი ითხოვდა ახალი სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის არჩევას, რათა თავისი სამსახურის გრაფიკთან შეთავსების საფუძველზე გაევლო პრაქტიკული კურსი.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროცესში ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიო წიგნაძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(დ) ნინო ლომთათიძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის გადასახადის გადავადების შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ იგი არის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟიორი და შექმნილი ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, ითხოვდა თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადახდის გადავადებას ერთი თვით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ლომთათიძის განცხადება და მას გადაუვადდეს თეორიული კურსის საფასურის გადახდა 1 (ერთი) თვით. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე